

მოზარდების მეტყველებაში ნეოლოგიზმების წარმოშობისა და
გავრცელების დინამიკის სოციოლინგვისტური ანალიზი

თამარ აბრამიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ლობჯანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ აბრამიშვილი

18.06.2018

აბსტრაქტი

მოზარდის მეტყველებაში ნეოლოგიზმების წარმოშობისა და გავრცელების სოციოლინგვისტური ანალიზი მნიშვნელოვანია და აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იძლევა ენის განვითარების დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას. ამა თუ იმ ქვეყნის ლექსიკური ფონდის შესწავლით, ფაქტობრივად, ვიღებთ ყველა ტიპის ინფორმაციას ამ ქვეყანაზე მის ისტორიაზე, კულტურაზე თუ სხვა სფეროებზე. საინტერესოა, თვითონ ნეოლოგიზმების, როგორც გარდაუვალი აუცილებლობის ფენომენი, რომელიც ერთი მხრივ, აუცილებელია ენის განვითარებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეულ საფრთხეს შეიცავს.

არც ერთი ენისთვის უცხო არ არის ნასესხები სიტყვები, XXI საუკუნეში ანგლიციზმების ხანაა მთელს მსოფლიოში, მათ შორის, ქართულ ენაშიც უამრავი ნეოლოგიზმი შემოდის ანგლიციზმის სახით და მკვიდრდება. აღსანიშნავია, მოზარდების მეტყველებაში ნეოლოგიზმების სიჭარბე. განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მაგალითზე ნეოლოგიზმების გავრცელების დინამიკაზე დაკვირვება, ასევე თუ რამდენად იციან ნეოლოგიზმების ქართული შესატყვისები და რომელს ანიჭებენ უპირატესობას, რადგან სოციუმის ამ კონკრეტულ ნაწილში შენელებულია ნეოლოგიზმების აღქმადობა ენობრივი ბარიერის გამო.

მოზარდების მეტყველებაში ნეოლოგიზმების გავრცელების დინამიკის კვლევას ემსახურება მოცემული ნაშრომი. კვლევის მთავარ ინსტრუმენტს კითხვარი წარმოადგენს.

კვლევა მოიცავს როგორც თვისობრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა მოზარდების მეტყველებაში ნეოლოგიზმების გავრცელების მთავარი წყარო - სოციალური ქსელების სახით. ასევე ამ ასაკობრივი

კატეგორიის თავისებურება - ე.წ მოდური რეალობისთვის ნეოლოგიზმების შემოღება და არა იმდენად საჭიროებებიდან გამომდინარე. ასევე გამოვლინდა ნეოლოგიზმების მთავარი მაწარმოებელი აფიქსები.

საკვანძო სიტყვები: ნეოლოგიზმები, ბარბარიზმები, მოზარდების მეტყველება,

სოციოლინგვიტური ანალიზი, სოციალური ქსელები.

Abstract

It is very important and actual to analyze how neologism is created and spread in teenagers' speech. This kind of analysis makes it possible to observe the dynamics of language development. Studying lexical funds of any country makes it clear what kind of history, culture and other spheres they have. Itself neologism is very interesting as phenomenon of unavoidable necessity that on one hand is very essential for language development but on the other hand it includes certain danger for language.

Borrowing of vocabulary is not unusual of any language. XXI century is age of Anglicism all over the world as well as in Georgia. Therefore there are numerous neologisms that enter into the language as Anglicism and establish there. It should be noted that in teenagers' speech there is an excess of neologism. It is especially interesting to observe ethnic minority and the dynamics of spreading neologisms among them. It is also important to know if they know Georgian equivalent of neologism and which is preferred. It is well-known that in this society perception of neologisms is decelerated due to language barrier.

The aim of the research is to provide the information how the neologism is spread in teenagers' speech. The main instrument of research is questionnaire.

The research contains two research methods: quantitative and qualitative.

The research findings show that the main source of neologism for teenagers is social networking sites. The analysis also reveals that spreading and establishing neologisms became fashionable for this age rather than necessity of them. In this research the main affixes of neologism were revealed too.

Keywords: Neologisms; Barbarisms; Teenager speech; Sociolinguistic analysis; Social networking sites.